საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/59
09/01/2026

59-01-2-202601091648

მოქალაქე ირმა ბარამიძეს

მის:

ელ-ფოსტა:

ტელ:

2025 წლის 30 დეკემბრის №01/8147 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (ამჟამად - სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომში – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მე-2 მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის სახელს, გვარს, ხელმოწერასა და განცხადების წარდგენის თარიღს. თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადება არ არის სათანადოდ ხელმოწერილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წარმოადგინოთ ხელმოწერილი განცხადება. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე